



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო

უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ
შარაშენიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გრძელვადიანი სტრატეგია

(2019–2024 წწ)

თბილისი
2019

ხარისხის სტრატეგიული განვითარების მიზანი:

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგია ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის გრძელვადიან შვიდწლიან განვითარების სტრატეგიულ გეგმას და მიზნად ისახავს 2019-2024 წ.წ.

პერიოდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების

შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი და საჯარო სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას, რაც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს.

სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები და შეფასების პრინციპების ჩამონათვალი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება გრძელვადიანი გეგმა 2019-2024წწ;
 - ა) მისია;
 - ბ) სტრატეგიული განვითარება;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;
 - ა) ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;
 - ბ) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
 - გ) ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტი
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი;
 - გ) სწავლის შედეგების შეფასება;
4. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნები;
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა;
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები;
 - ა) მატერიალური რესურსი;
 - ბ) საინფორმაციო რესურსი;
 - გ) ფინანსური რესურსი; ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია სასწავლო უნივერსიტეტის გრძელვადიანი შვიდწლიანი 2019-2024 წ.წ. სტრატეგიული გეგმა:

ამოცანები:

- ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის 2019-2024 წ.წ. ეტაპობრივი შეფასება;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა;

გ) ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის და სწავლების ხარისხის სრულყოფა; 2019-2024 წ.წ.

დ) საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაცია; 2019-2024 წ.წ.

შედეგები:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისათვის ახალი სტანდარტების შემდგომი ეტაპობრივი დანერგვა; 2019-2021 წ.წ.

ბ) სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა; 2019-2021 წ.წ.

გ) საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების:

1. ცოდნა და გაცნობიერება;
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
3. დასკვნის უნარი;
4. კომუნიკაციის უნარი;
5. სწავლის უნარი;
6. ღირებულებები.

გამომუშავებით სწავლის შედეგების მიღწევა.

დ) სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების, სილაბუსების მოდიფიცირება და პროგრამული აკრედიტაციის მიმართებაში სტანდარტიზაცია. 2019 -2020წ.

ძირითადი პრინციპები:

ა) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სისტემატური გრძელვადიანი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელება 2019-2024 წ.წ.;

ბ) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, სასწავლო პროცესის შეფასების ობიექტურობა, საჯაროობა და გამჭვირვალობა მთელი პერიოდის განმავლობაში;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, სასწავლო პროცესის წარმართვასა და კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა თვითმმართველობის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების და დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობა გრძელვადიანი შვიდწლიანი პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული განვითარების 2019-2024 წწ პერიოდში
საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საბაკალავრო, სამაგისტრო, ახალი პროგრამების მომზადება; 2019-2021წწ
2. საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები. 2019-2020წწ
3. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები (ინდიკატორები); 2019-2024წწ ეტაპობრივად
4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების პროცესის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. 2019-2020წწ
5. სტუდენტების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში (სტუდენტების სისტემატური გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში); 2019-2024წწ
6. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, პარტნიორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მკვლევარების აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში. 2019-2024წწ
7. პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში. 2019-2024წწ
8. საგანმანათლებლო პროგრამების საინფორმაციო უზრუნველყოფა (ინფორმაციის განთავსება თდასუ-ს ვებ-გვერდზე). 2019-2024წწ ეტაპობრივად
9. სტუდენტთა თვითმართვლობის მონაწილეობა საზოგადოებრივ კულტურულ და სპორტულ საქმიანობაში ფაკულტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის დონეზე; 2019-2024წწ ეტაპობრივად
10. აკადემიური პერსონალის სისტემატური შეფასება თვითშეფასების კითხვარის მიხედვით;
11. სწავლის შედეგების შეფასება სტუდენტთა კითხვარის მიხედვით; 2019-2024წწ ეტაპობრივად
12. აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ზრდისათვის შესაბამისი ღონისძიებების დასახვა.
13. არსებული საკრედიტო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება;
14. დიპლომისა და მისი დანართის ეროვნული კლასიფიკატორის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა; 2019-2024წწ ეტაპობრივად
15. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა 2019-2024წწ ეტაპობრივად

სასწავლო პროცესში:

1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა 2019-2020 წ.წ. არსებული მოქმედი პროგრამების მოდიფიცირება და სრულყოფა 2019-2020 წ.წ. ეტაპობრივად;
2. მოქმედი სპეციალობების და მისი შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო პროგრამების შედგენა და არსებულის განახლება 2019-2021 წ. წ;
3. სპეციალობების მიხედვით საგნობრივი საგანმანათლებლო ლიტერატურის (სალექციო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) ელექტრონული ვერსიებით საბიბლიოთეკო – საინფორმაციო საქმიანობის უზრუნველყოფა 2019-2024წწ ეტაპობრივად
4. სასწავლო პროცესში გამოყენებული სილაბუსების სისტემური მოდერნიზაცია 2019-2024 წ.წ. ეტაპობრივად;
5. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო კავშირების დამყარება ანალოგიური პროფილის ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან (მობილობა, გრანტები, ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობა და სხვა) 2019-2024 წწ.;
6. თვითშეფასების მუდმივი კონტროლი, მონიტორინგი და ამ საქმეში ჩართული ადგილობრივი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება 2019-2024 წ.წ. ეტაპობრივად;